სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

30 მაისი 2024

N 21/5564

შპს „ბახვი 2“-ის დირექტორს
ბატონ გიორგი აბრამიშვილს
მის: გიორგი ლეონიძის ქ. №2ა, სართული 3, ფართი №5
ელ. ფოსტა: info@bakhvi.com.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

ბატონო გიორგი,

სააგენტომ განიხილა თქვენი №4345 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ბახვისწყალზე „ბახვი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის ეგხ-ის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2024 წლის 26 მარტის №21/3113 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ბეტონის კვანძისა და სასაწყობე ტერიტორია კვლავ ზედდებაშია გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული №2 ფუჭი ქანების სანაყაროს ტერიტორიასთან. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის ტერიტორია ნაწილობრივ ფარავს გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ №3 ფუჭი ქანების სანაყაროს. გარდა ამისა, დოკუმენტში მითითებულია, რომ „მიმდებარე ტერიტორიაზე, ფართობით 1000 კვ.მ, საკადასტრო კოდით 26.24.14.70 განთავსდება კონტრაქტორის ოფისი და სასაწყობე ანგარი“. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკადასტრო ერთეული მოიცავს გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული №2ა სანაყაროს ტერიტორიას. ვინაიდან, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სანაყაროების ადგილმდებარეობის ცვლილება გათვალისწინებული არ არის, დაზუსტებას საჭიროებს ბეტონის კვანძის, სამშენებლო ბანაკისა და ასევე 26.24.14.070 მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ასევე გათვალისწინებულია გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სანაყაროების ადგილმდებარეობის ცვლილება, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე;

- დოკუმენტში ბეტონის კვანძის განთავსებისათვის შერჩეულ და სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობა. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, პროექტის მიზნებისთვის გათვალისწინებულია სამი სასაწყობე ტერიტორიის გამოყენება, სადაც მოხდება სხვადასხვა მასალის, მათ შორის, მილსადენის მოსაწყობად საჭირო მილების დროებითი დასაწყობება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ბეტონის კვანძისათვის შერჩეულ და სამშენებლო ბანაკის ტერიტორიებზე დროებითი დასაწყობების ადგილების დამატებით მოწყობის საჭიროება;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით წარმოდგენილი ტერიტორიიდან (14 121 მ^2) 2 346 მ^2 ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. აღნიშნული 2 346 მ^2 მთლიანად ან ნაწილობრივ ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან (ს/კ: 26.24.14.143; 26.24.14.144; 26.24.14.133). დოკუმენტში კვლავ არ არის მოცემული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე (2 346 მ^2) საქმიანობის განხორციელებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში და თანდართულ გენგეგმაში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა, რომლის მოწყობაც გათვალისწინებულია სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე, ურთიერთშეუსაბამოა, რაც საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან, დასაზუსტებელია სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოსაწყობი დიზელის ავზის მოცულობა. გარდა ამისა, დოკუმენტში მითითებულია, რომ სამშენებლო ბანაკის ტექნიკური წყლით მომარაგება დაგეგმილია მდ. ბახვისწყლიდან. აღებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 2,5 ლ/წმ. ვინაიდან, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ბეტონის კვანძის განთავსება აღარ იგეგმება, დასაზუსტებელია ტექნიკური დანიშნულების წყლის საჭიროება;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს მდ. ბახვისწყლიდან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში და შესაბამის გენგეგმაზე წარმოდგენილი წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას, ხოლო სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებული ტრანსფორმატორის და დაცვის ჯიხურის განთავსების ადგილები ხვდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის გარეთ, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე, სააგენტოში წარმოდგენილია მეორე სკრინინგის განცხადება (№4746), რომელიც ეხება „ბახვი 2 ჰესის“ პროექტის ფარგლებში ქვის სამსხვრევი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, ქვის სამსხვრევი საწარმოს განთავსება დაგეგმილია №4345 სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ბეტონის კვანძის ტერიტორიაზე. შესაბამისად, სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს გაერთიანებული სკრინინგის განცხადება, სადაც აღწერილი იქნება „ბახვი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის ეგხ-ის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები, მათ შორის, ქვის სამსხვრევი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია, ასევე, აღნიშნული ცვლილებების შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,
თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო